

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე მოითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 აგვისტოს №1814/03 ბრძანების ბათილად ცნობას და განცხადებული სასაქონლო ნიშნის „COLOR 1” რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოქმედი ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაბამისი საქონლის მიმართ არ არის განმასხვავებელუნარიანი, რადგან შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან შეიძლება მიჩნეული იყოს ასეთად; ან საყოველთაოდ გამოიყენება როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარობითი ცნება; ან წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიმბოლოს ან ტერმინს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია.

ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად კი „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ასოს ან ციფრისაგან, რომელსაც არა აქვს ორიგინალური გრაფიკული შესრულება”.

აპელანტი თვლის, რომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „COLOR 1” წარმოადგენს ორი, სიტყვიერი და ციფრული, სიმბოლოს ერთობლიობას და ის არ არის არც მხოლოდ განცხადებული საქონლის ცალკე აღებული მახასიათებელი, არც მხოლოდ ერთი სტანდარტული ციფრი და აქედან გამომდინარე ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაგანმასხვავებელუნარიან სიმბოლოდ მე-3 კლასის განცხადებული საქონლისათვის.

აპელანტის განმარტებით, მის მიერ წარმოდგენილი და ისმო-ს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების ინტერნეტ ბაზიდან ამობეჭდილი მასალებიდან ჩანს, რომ სასაქონლო ნიშანი „COLOR 1” რიგი ქვეყნების როგორიცაა: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, სლოვენია, უკრაინა, მონტენეგრო, სინგაპური, ბენელუქსის ქვეყნები, სლოვაკეთი, იტალია, კვიპროსი, უნგრეთი, თურქეთი -

საპატენტო უწყებებმა არ ჩათვალეს არაგანმასხვავებელუნარიანად განცხადებული საქონლის მიმართ და მათ მიენიჭათ დაცვა ამ ქვეყნებში.

აპელანტი ითხოვს, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინოს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, ბათილად ცნოს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 აგვისტოს №1814/03 ბრძანება და განცხადებული სასაქონლო ნიშანი „COLOR 1” დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 აგვისტოს №1814/03 ბრძანება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება, სომბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ.

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი „COLOR 1” არაგანმასხვავებელუნარიანია მე-3 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ. სიტყვა „COLOR” აღნიშნავს ფერს და პირდაპირ მიუთითებს საქონლის სახეობაზე, იმ სახეობაზე რომლის მიმართაც მოთხოვნილია ნიშნის რეგისტრაცია, კერძოდ საშუალებები თმის გასაღიაგებლად, შესაღებად და ა.შ. უფრო მეტიც, ციფრი „1” მომხმარებელმა შეიძლება აღიქვას, როგორც მითითება პროდუქტის, საქონლის ხარისხზე, კონკრეტულად კი აღიქვას მითითებად იმაზე, რომ ეს საქონელი არის „უმაღლესი”, „საუკეთესო ხარისხის” თმის მოვლის საშუალება, ლიდერი ბაზარზე.

რაც შეეხება აპელანტის არგუმენტს, რომ ნიშანი მიჩნეულ უნდა იქნეს არაგანმასხვავებელუნარიანად თუ იგი შედგება მხოლოდ განცხადებული საქონლის ცალკე აღებული მახასიათებლისაგან ან მხოლოდ ერთი სტანდარტული ციფრისაგან, ამ შემთხვევაში კოლეგია ვერ გაიზიარებს, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი შედგება აღნიშვნა „COLOR” და ციფრი „1”, არც ერთ მათგანს, არც აღნიშვნა „COLOR”, ისევე როგორც ციფრ „1” არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშანში არსებულ არც ერთ ელემენტს ცალკე აღებულს არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა, ნიშანი მთლიანობაშიც ვერ იქნება მიჩნეული ასეთად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 აგვისტოს №1814/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და ისევემდგვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ჰენკელ აგ & კო. კგაა“ („Henkel AG & Co. KGaA“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის უფროსის 2013 წლის 30 აგვისტოს №1814/03 ბრძანება.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

დ. ჭიჭინაძე